4
Უ-191

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო უგლავა

ტექსტის მოდალობა სხვადასხვა სისტემის ენებში (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)

10.02.07 - ტიპოლოგიური და შედარებითი ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2005

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მადონა მეგრელიშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **ციური ახვლედიანი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.07)

ნანა დანელია
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (10.02.01)

დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P. 10.07. №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე 2005 წლის 8 ივნისს, 11:00 საათზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, კორპ. 1, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზი.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 6 მაისს.

Библиотека
Тбилисского гос. педа-
...ого института
...иностранных языков
им. И. Чав...
-1998-

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ. რამაზ ქურდაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ტექსტის მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზს ინგლისური და ქართული ენების მასალაზე.

ლინგვისტური პრაგმატიკა თეორიული ლინგვისტიკის ის სფეროა, რომელიც მთელი ენობრივი სისტემის ექსპანსიას ახდენს, რაც ნიშნავს, რომ ის ენობრივი ერთეულები და კატეგორიები, რომლებიც ტრადიციულად შეისწავლებოდნენ პრაგმატიკასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე პრაგმატიკის, როგორც ლინგვისტური დისციპლინის შესწავლის საგნად იქცევიან. ლინგვისტიკის ერთ-ერთი პრინციპული მიღწევა ენობრივი ერთეულებისადმი ტექსტოცენტრული მიდგომაა. ფრიად საინტერესოა მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის პრაგმატიზაცია მისი ტექსტობრივ კატეგორიად გარდაქმნის თვალსაზრისით. ტექსტოლოგიზაცია კი გულისხმობს, რომ ყოველი კატეგორია, რომელიც ტექსტის გარეშე შეისწავლებოდა, ახლა ტექსტის ფარგლებში აღიქმება. ამდენად, მოდალობის, როგორც გრამატიკული კატეგორიის პრაგმატიკული თვალსაზრისით შესწავლა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. თანამედროვე ენათმეცნიერებაში მოდალობის ტექსტის დონეზე კვლევა სრულყოფილად წარმოაჩენს ამ კატეგორიის ფუნქციურ და სტრუქტურულ მახასიათებლებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს კატეგორია ყველა ენაში უდიდესი ფუნქციური დატვირთვით გამოირჩევა, მისი კონკრეტული თავისებურებების გამოვლენა და ამასთან მისი თეორიული გააზრების პროცესი სხვადასხვა სისტემის ენებში ჯერ კიდევ აქტუალურ საკვლევ მასალას იძლევა. ცნებით კატეგორიათა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძვლად გამოყენება ენობრივი აზროვნების ეროვნულ-კულტუროლოგიური ასპექტების ღრმად ჩაწვდომას გულისხმობს.

წინამდებარე ნაშრომში დასმული ტექსტის მოდალობის შემდგომი თეორიული კვლევის საჭიროებას, ანუ ამ პრობლემის გადააზრების აუცილებლობასა და **აქტუალობას განაპირობებს** შემდეგი ფაქტორები: მოდალობის მოვლენის მოქმედების პოტენციალი ენის სხვადასხვა დონეზე; აღნიშნული მოვლენის მნიშვნელობა ტექსტობრივ კატეგორიათა ბუნების განსაზღვრისათვის; ტექსტის მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის აგების საჭიროება.

ნაშრომის ძირითადი მიზანია ტექსტის მოდალობის ფუნქციურ-სე-